სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

№ 01-04/17 1. 03. 2022 წ

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში, 2022 წლის 7 მარტიდან, საგაზაფხულო სემესტრის, სასწავლო პროცესის ორგანიზებულად განხორციელების შესახებ

საქართველოს განათლების, მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 2 სექტემბრის № 849376 და **2021 წლის 1 ოქტომბრის №1011252 ბრძანების** საფუძველზე დამტკიცებული 2021-2022 სასწავლო წელს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სასწავლო პროცესის განხორციელების შესახებ

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. 2021-2022 სასწავლო წლის საგაზაფხულო სემესტრში, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში სასწავლო პროცესი განხორციელდეს უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით (№ 01-04/43 31. 05. 2021) დამტკიცებული სასწავლო გრაფიკის მიხედვით.
2. 2022 წლის 7 მარტიდან უნივერსიტეტში ბაკალავრიატის, ერთსაფეხურიან, სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებზე სასწავლო პროცესი წარიმართოს შერეული სახით სასწავლო კურსების სპეციფიკის გათვალისწინებით.
3. 2022 წლის 7 მარტიდან უნივერსიტეტში სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამებზე სასწავლო პროცესი წარიმართოს საუნივერსიტეტო სივრცეში.
4. მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო (60 კრედიტიან) პროგრამაზე სასწავლო პროცესი წარიმართოს დისტანციურ რეჟიმში.
5. 2022 წლის 7 მარტიდან ბაკალავრიატის, ერთსაფეხურიანი, სამაგისტრო, საგანმანათლებლო პროგრამის ლექციის კომპონენტები, წარიმართოს დისტანციურ რეჟიმში, On - Line (ონ-ლაინ) პლატფორმაზე (Microsoft teams).
6. Minor საგანმანათლებლო პროგრამებზე სასწავლო პროცესი წარიმართოს On - Line (ონ-ლაინ) პლატფორმაზე (Microsoft teams).
7. უნივერსიტეტის ენების შემსწავლელი ცენტრის მიერ კურირებადი პრაქტიკული კურსები წარიმართოს ყველა ფაკულტეტზე On - Line (ონ-ლაინ) პლატფორმაზე (Microsoft teams).

8. 2022 წლის 7 მარტიდან საგანმანათლებლო პროგრამის პრაქტიკული/ სემინარული/ ლაბორატორიული/კლინიკური/ სწავლების კომპონენტები წარიმართოს არადისტანციურ რეჟიმში, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შემოწმების საფუძველზე შესაბამისი მითითებების/რეკომენდაციების დაცვით.
9. შუალედური შეფასება და დასკვნითი გამოცდები ჩატარდეს არადისტანციურ რეჟიმში საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შემოწმების საფუძველზე, იმ დროისათვის მოქმედი , შესაბამისი მითითებების/რეკომენდაციების დაცვით.
10. მედიცინის ფაკულტეტზე:

10.1. იმ საგანმანათლებლო პროგრამებზე რომელთა სასწავლო კომპონენტი ითვალისწინებს პაციენტთან კონტაქტს, კლინიკური სწავლების არადისტანციურ რეჟიმში განხორციელებისას, პერსონალი და სტუდენტი დაიშვება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აკმაყოფილებს ერთ-ერთ შემდეგ პირობას:

ა. სრულად ვაქცინირებულია;

ბ. უზრუნველყოფს უარყოფითი PCR ტესტის წარდგენას კვირაში ერთხელ;

გ. ახალი კორონა ვირუსის (COVID-19) ლაბორატორიულად დადასტურებიდან ორი კვირის შემდეგ არ არის გასული 6 თვეზე მეტი.

10.2.2.დაევალოს მედიცინის ფაკულტეტის დეპარტამენტის ხელმძღვანელებს:

10.2.1.მონიტორინგის განხორციელება და პასუხისმგებლობა იმაზე, რომ მათდამი დაქვემდებარებულ დეპარტამენტში არადისტანციურად სასწავლო პროცესი წარმართონ მხოლოდ სრულად ვაქცინირებულმა პირებმა;

10.2.2. არ დაუშვან ახალი შრომითი ხელშეკრულების გაფორმება სრულად არავაქცინირებულ დამხმარე პერსონალთან;

10.3. ფაკულტეტის თითოეულ თანამშრომელი, წინამდებარე ბრძანების გამოცემიდან, ვაქცინაციისათვის საჭირო გონივრულ ვადაში, სამუშაო ადგილზე გამოცხადდეს სრულად ვაქცინირებული. წინააღმდეგ შემთხვევაში მათ უნდა წარმოადგინონ საკუთარი ხარჯით ჩატარებული PCR ტესტის უარყოფითი პასუხი კვირაში ერთხელ.

10.4.მედიცინის ფაკულტეტის ის სტუდენტები, რომლებიც სწავლებას გადიან იმ საგანმანათლებლო პროგრამებზე რომელთა სასწავლო კომპონენტი ითვალისწინებს პაციენტთან კონტაქტს, კლინიკური სწავლების არადისტანციურ რეჟიმში განხორციელებისათვის ვალდებულნი არიან, 2022 წლის 2 მარტიდან 2022 წლის 26 მარტის ჩათვლით ვაქცინირების დამადასტურებელი დოკუმენტი (COVID-19)-ის ბარათი QR კოდით, ან უკანასკნელი 6 თვის მანძილზე (COVID-19)-ის დადასტურების დოკუმენტი წარმოადგინონ დეკანატის სამდივნოში/ან გადმოაგზავნონ კოორპორაციული ფოსტის საშუალებით medicine@atsu.edu.ge .

10.5 მედიცინის საგანმანათლებლო პროგრამების სპეციფიკის გათვალისწინებით ფაკულტეტის დეკანატმა არადისტანციურ რეჟიმში წარმართოს ის კლინიკური/პრაქტიკული კომპონენტები, რომელთა აუცილებელი მინიმალური

რაოდენობა შეადგენს შესაბამისი დისციპლინის საკონტაქტო საათობრივი მოცულობის არანაკლებ 50%-ს."

11. დაევალოს ფაკულტეტის დეკანებს, ინფორმაციული ტექნოლოგიების უზრუნველყოფის სამსახურის (ო. შენგელია) და მულტიმედიური ლაბორატორიის „დეველოპერს" ბატონ დავით კეთილაძეს, ელექტრონული სწავლების კოორდინატორს ბატონ ნოდარ ცაგარეიშვილს უზრუნველყონ სალექციო კურსების On - Line (ონ-ლაინ) დისტანციურ რეჟიმში წარმართვა;
12. ფაკულტეტის დეკანებს და ფაკულტეტის ადმინისტრაციას დაევალოს:

12.1. აწსუ-ში არსებულ სხვადასხვა On - Line (ონ-ლაინ) პლატფორმაზე (Microsoft teams, moodle) სალექციო კურსების სწავლა/სწავლების პროცესის განხორციელების მიზნით, ფაკულტეტის დეკანებმა მოამზადონ ინფორმაციები (სტუდენტთა სახელი, გვარი და კოორპორაციული ფოსტების მისამართები) აკადემიური ჯგუფების მიხედვით და გამოყონ პასუხისმგებელი პირი, ამ ბრძანებით გათვალისწინებული ქმედებების ორგანიზაციული მხარდაჭერის მიზნით;

12.2. სასწავლო პროცესის მონიტორინგის მიზნით სასწავლო ჯგუფებს მიამაგრონ:

- ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე, ბიზნესის სამართლის და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე - როზა სირბილაძე (სასწავლო პროცესის მონიტორინგის განყოფილების სპეციალისტი;
- საინჟინრო ტექნიკურ, საინჟინრო-ტექნოლოგიურ, აგრარულ ფაკულტეტებზე - აკადემიური დოქტორი დავით თოფურია (სასწავლო-მეთოდური განყოფილების მთავარი სპეციალისტი);
- ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა, პედაგოგიურ და საზღვაო-სატრანსპორტო ფაკულტეტზე - სალომე გიორგაძე (სასწავლო-მეთოდური განყოფილების მოწვეული სპეციალისტი);
- მედიცინის ფაკულტეტზე ნატო ასათიანი (სასწავლო-მეთოდური განყოფილების სპეციალისტი);
- ფაკულტეტის ადმინისტრაციის წარმომადგენლები: ფაკულტეტის დეკანი; ფაკულტეტის დეკანის მოადგილე; ფაკულტეტის ხარისხის სამსახურის უფროსი; ფაკულტეტის ხარისხის სამსახურის სპეციალისტი.

12.3. ბრძანება დაიყვანონ თითოეულ სტუდენტამდე და აკადემიურ პერსონალამდე.

13. ლექცია - პრაქტიკუმების ჩატარება განახორციელონ, უნივერსიტეტის რექტორის მოადგილის (ასოც. პროფ. შ. კირთაძის) ხელმოწერით დამტკიცებული, სასწავლო ცხრილების დაცვით, ხოლო საჭიროების შემთხვევაში, მოხდეს ინდივიდუალური დროებითი ცხრილების ფორმირება, სასწავლო პროცესის მართვის სამსახურთან შეთანხმებით;

14. დისტანციურად განხორციელებული სასწავლო პროცესის ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით, უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა იხელმძღვანელოს ევროპის უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოების ასოციაციის(ENQA) მიერ 2018 წელს

შემუშავებული ელექტრონული სწავლების შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სახელმძღვანელო პრინციპებით.

15. ბრძანება ძალაშია 2022 წლის 7 მარტიდან.

16. უნივერსიტეტის კანცელარიამ (ე. ცირეკიძე) უზრუნველყოს ბრძანების დაგზავნა ფაკულტეტების დეკანებთან, სტუდენტური მხარდაჭერისა და განვითარების სერვისებთან, დეპარტამენტის ხელმძღვანელებთან და განთავსება უნივერსიტეტის ყველა კორპუსში თვალსაჩინო ადგილზე.

17. მარკეტინგის, პროექტების და ღონისძიებების მართვის სამსახურის უფროსმა (ასოც. პროფ. თ. ვალიშვილი) უზრუნველყოს ბრძანების განთავსება უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე.

18. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე უზრუნველყოს რექტორის მოადგილემ ასოც. პროფ. შ. კირთაძემ.

საფუძველი: "იზოლაციისა და კარანტინის წესების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მაისის №322 დადგენილება, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 2 სექტემბრის ბრძანება №8493 საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 1 ოქტომბრის ბრძანება №1011252.

რექტორი — პროფ. როლანდ კოპალიანი

სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსი — პროფ. იმერ ბასილაძე